ყოველდღიური გაზეთი | ფასი 10 კაპ. | ოთხშაბათი, 1917 წ. მკათათვის 26 (8)

# საქართველო

ხელით ნაწერი და დაუსაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები უკან არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, ред. газ. „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი. ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით 30 კ., მეხუთე გვერდზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 მ. ელირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ჯერ. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი. მხოლოდ ქალაქში. ქალაქ გარეთ გაზეთი ერთი თვით არ გაიგზავნება.

№ 162 | ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი | № 162

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

კერენსკი დაბრუნდა პეტროგრადში და თანამდებობა ჩაიბარა.

კადეტების პარტიამ კერენსკის ნდობა აღუთქვა.

ჩინეთი გერმანიას ომს უცხადებს.

რუსეთში შემოაქვთ მონოპოლია სამანუფაქტურო საქონელზე.

ჩერნოვიცის სამხრეთით და რუმინეთის ფრონტზე მტერი კვლავ წინ მოიწევს და რუსის ჯარს სწრაფ უკან ახევინებს.

სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი ანდობს კერენსკის კაბინეტის შედგენას.

ახალი სამინისტრო ჯერ არ შემდგარა.

### წერილები

**მეთაური.** უმთავრობო რუსეთი.
**რ. ინგილო.** არჩევნები და ჯარი.

**ბ. ბ.** რუსეთი და ევროპა.
**ნ. ავალიშვილი.** საქალაქო არჩევნების შესახებ.

საეკლესიო საკითხები.
სომეხთ სამღვდელოების კრება.
მიწის კერძო საკუთრება.
ფინეთი და რუსეთი.

---

## თელავის ქალთა წმიდა ნინოს სასწავლებლის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ სათანადო მთავრობის ნებართვით თელავის წ.-ა ნინოს სასწავლებელი პირველ ენკენისთვიდან ამა 1917 წლისა გადაკეთებულია რვა კლასიანად, ვაჟთა გიმნაზიის უფლებებით, ერთი ძველი (ლათინური) და ერთი ახალი (ფრანგული) ენით.

სწავლის ფული ამავე ენკენისთვიდან დადგენილია შემდეგი: მოსამზადებელ კლასებში 80 მან., I—IV კლ.—100 მან., V—VII კლ.—120 და მერვე კლასში 150 მან.

თავისუფალი ადგილებია მხოლოდ უმცროს მოსამზადებელ კლასში, მეხუთეში, მეექვსეში, მეშვიდეში და მერვეში. ამასთან გამგეობა ვალად რაცხს თავს გააფრთხილოს ნშობელნი მოწაფეებისა, რომ დროს მიზეზისა გამო პანსიონი სასწავლებელში **დროებით** დაიხურა.

მასთან ერთად გამგეობა სთხოვს მოწაფეთა მშობლებს მობრძანდნენ 31-ს ამა ივლისს, დილის ათ საათზედ, სასწავლებელში მშობელთა კრებაზედ დასასწრებლად, რათა თვის შორის წარმომადგენელი აირჩიონ სასწავლებლის გამგეობისათვის.
4—710—2

---

## ქართვ. სამხედრო კავშირის კომიტეტი

იწვევს

## ქართველ მხედართა დელეგატების საერთო ყრილობას

რომელიც შესდგება 20 აგვისტოს საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში ქართველ სამხედრო კავშირის კლუბის შენობაში (ყოფილი ქართული თეატრი)

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1) კომიტეტის მოხსენება,
2) მიმდინარე მომენტი,
3) საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია,
4) ჯარის ნაციონალიზაცია,
5) ქართველ სამხედრო პირთა ორგანიზაცია,
6) ქართველთ სამხედრო კავშირის დამოკიდებულება სხვა და სხვა ერების სამხედრო ორგანიზაციებთან,
7) ქართველ ჯარის კაცების მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში.

**დელეგატების არჩევნების წესი:**

არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა ქართველი სამხედრო პირი: ჯარის კაცი, აფიცერი, სამხედრო ექიმი და სამხედრო მოხელე. საარჩევნო ერთეული პოლკია ან იმგვარივე ცალკე სამხედრო ნაწილი, მაგალითად, ლაზარეთი.

ამომრჩეველთა რიცხვის ნორმა—100 კაცი,

თუ პოლკში ასი ან ასზე ნაკლები ქართველია, მაგრამ არა უმცირეს 25 კაცისა, მაშინ ისინი ყრილობაზე დასასწრებლად ირჩევენ ერთ წარმომადგენელს, ხოლო თუ ასზე მეტია, მაშინ თითო ასზე—თითო წარმომადგენელს.

თუ პოლკში 25-ზე ნაკლები ქართველია, მაშინ რამდენიმე პოლკის ქართველები შეერთებულ კრებაზე ერთ წარმომადგენელს ირჩევენ. გარდა ამისა, ყოველი კავშირის ადგილობრივი კომიტეტი გზავნის ერთ წარმომადგენელს.

**ქართველთ სამხედრო კავშირის კომიტეტი.**
1—712—1

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

### გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში!

# ქართველნო მოქალაქენო!

**მიეცით ხმა საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას!**

# № 2.

**ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას** მიზნად აქვს სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენა საქართველოში და დამყარება მაში დემოკრატიულ რესპუბლიკისა.

იგი მოითხოვს ვრცელ უფლებიან ავტონომიას სრულიად საქართველოს საზღვრებში.

იგი იცავს თავისუფლებას და თანასწორობას ყოველ მოქალაქესათვის განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ერთად-ერთი არა-სოციალისტური ეროვნული პარტიაა საქართველოში:

იგი იცავს **კერძო საკუთრებას**, რადგანაც კერძო საკუთრება—საფუძველია თავისუფლების, თაოსნობის და შემოქმედებისა, მაშასადამე, საფუძველი ერის სიმდიდრის და განვითარებისა.

იგი იცავს მშრომელ ხალხს, სოფლისას და ქალაქისას, ვინაიდგან ყოველი მუშა—შემოქმედი ნაწილია ეროვნული ორგანიზმისა.

იგი იცავს შრომას,ვაჭრობას და მრეწველობას, რომ ცხოვრების ყოველ დარგში აღიძრას და დატრიალდეს ეროვნული ენერგია და მისი ნაყოფი დარჩეს ისევე საქართველოს.

დროა მოისპოს ქართველი ერის ძარცვა და ყვლეფა, მონობა და ექსპლოატაცია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ჰქადაგებს ერთობას და ებრძვის ყოველგვარ გამთიშავ ძალებს.

იგი არ იზიარებს სოციალისტურ მოძღვრებას და მოქმედებას და ებრძვის კლასთა ბრძოლის გამწვავებას, ვინაიდგან ეს გამწვავება ჰღრღნის ერთობას, ასუსტებს ძალებს, ჰშლის და არღვევს ეროვნულ ორგანიზმს. ჩვენ გვინდა ერთობა და არა ერთმანეთის მტრობა. ეხლანდელ ისტორიულ მომენტში შინაური განხეთქილება საშიშია და სახიფათო უიმისოდაც დასუსტებულ საქართველოსათვის.

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** კარგად ჰხედავს, რომ საქართველოს გარს ახვევია უცხო ერები და ჰსცდილობს დაამყაროს მათთან კეთილი განწყობილება მორიგებით და შეთანხმებით.

**ქართველო მოქალაქენო!** მოახლოვდა თბილისის არჩევნები.

თბილისი—დედაქალაქია საქართველოსი.

მისი მოწყობა და გამშვენიერება პირდაპირი და წმიდა ვალია ყოველი მამულიშვილისა.

წყალი, ჰაერი, ქუჩა, ბაზარი, ბინა, სანოვაგე, მიმოსვლა, განათება და განათლება... ერთის სიტყვით ქალაქის მოთხოვნილება ათასფერია და ათასნაირი. ეს მოთხოვნილებანი უნდა იქმნას დაკმაყოფილებული, თბილისი უნდა დაედაროს ნივთიერ და კულტურულ მოწყობილებით საუკეთესო ევროპიულ ქალაქს, ვინაიდან თბილისი, როგორც დიდი ცენტრი, იზიდავს მრავალ მშრომელ ხალხს, რომლის სულიერი და ნივთიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა იყოს უმთავრესი მიზანი დემოკრატიულ პარტიის მუნიციპალურ პროგრამისა.

მაგრამ ქართველ კაცისთვის ქალაქის არჩევნებში, გარდა მუნიციპალურ მოთხოვნილებისა, კიდევ არის სხვა აზრი უფრო ღრმა, უფრო მწვავე და საბედისწერო.

თბილისში ბევრია საქართველოს მშრომელი ხალხი, თბილისს გარს ახვევია ქართველი ერი. თბილისი ცენტრია ნივთიერი და სულიერი მთელი საქართველოსი. მაში ჰდუღს და მიმდინარეობს განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა არა მარტო ნივთიერ ნაწარმოებისა, არამედ აგრეთვე აზრის და გრძნობისა, ნების და სულის კვეთებისა, თბილისი და საქართველო მოქცეულია ერთ და იმავე ეროვნულ ცნობიერებაში: აქ არის კვანძი მთელი ერის ნერვიულ სისტემისა.

თბილისის დაკარგვა— თავის მოჭრაა... მაშასადამე სიკვდილი მთელი ქართველი ერისა.

**ქართველნო მოქალაქენო!** ჩაუკვირდით ამას და თუ ცოტათი მაინც შეგრჩენიათ ქართული სული, ადექით, გამოდით სახლიდან და მიიღეთ მონაწილეობა კვირას, 30 ივლისს, ჩვენი დედაქალაქის არჩევნებში.

**მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას.**

**№ 2.**

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის
**მთავარი კომიტეტი**

---

## ქართველნო ამომრჩეველნო!

### ვინც თბილისიდან გასულნი ხართ

# დაბრუნდით თბილისში.

### ამ თვის 30-ს, კვირას საქალაქო არჩევნებია!

### არ დაგვიკარგოთ თქვენი ხმა!

შეიძლება ერთი ხმის დაკარგვამ ქალაქს
დააკლოს ერთი სასარგებლო ხმოსანი

---

## საქართველოს ეროვნულ-დემ. პარტიის თბილისის ქალაქის ხმოსანთა კანდიდატების სია.

1. **ჟურული** გიორგი დურმიშხანისძე—ქალაქის ხმოსანი. ქალაქის საბჭოს წევრი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი.
3. **კედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი.
4. **ქიქოძე** გერონტი დიმიტრის ძე—პუბლიცისტი.
5. **ვეშაპიძე (ვეშაპელი)** გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი.
6. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
7. **ლორთქიფანიძე** იასონ მერაბის ძე—ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
8. **გოთუა** პართენ ალექსანდრეს ძე—სამეურნეო ბანკის დირექტორი.
9. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე—ჟურნალისტი, კოოპერატორი.
10. **ივანიცკი** რაფაელი ალექსანდრეს ძე—(**რ. ინგილო**) სამართლის კანდიდატი.
11. **ბერელაშვილი** ვასილ გერასიმეს ძე—კომერსანტი.
12. **ასათიანი** ალექსანდრე სამსონის ძე—ჟურნალისტი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
13. **წვერავა** ნიკოლოზ ესტატეს ძე—ხმოსანი ქ. თბილისის.
14. **ქურდიანი** გიორგი ზაქარიას ძე—ინჟინერი.
15. **თაყაიშვილი** ექვთიმე სიმონის ძე—ისტორიკოსი, თავმჯდომარე საქ. საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოებისა.
16. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე—ექიმი.
17. **მამრაძე** პეტრე გრიგოლის ძე—ინჟინერ-ტეხნოლოგი.
18. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე—ექიმი.
19. **ბაბაშვილი** ლეონიდე ალექსანდრეს ძე—კოოპერატორი) ჟურნალისტი.
20. **თუმანიშვილი** პავლე იოსების ძე—ნაფიცი ვექილი.
21. **მაჭავარიანი** გიორგი ლუარსაბის ძე—ნოტარიუსი.
22. **ერისთავი** დომინიკა ზურაბის ასული—(**განდეგილი**, —მწერალი.
23. **ჩიჯავაძე** თამარა დავითის ასული—მასწავლებელი.
24. **დუმბაძე** დიმიტრი მოსეს ძე—პედაგოგი.
25. **გუნცაძე** ირაკლი ალექსანდრეს ძე—ნაფიცი ვექილი.
26. **ქვარიანი** სიმონ ალექსის ძე—აგრონომი.
28. **გაბუნია** სილოვან გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
29. **კახიძე** ვასილი ბესარიონის ძე—ხარჯთა კრეფის ინსპექტორი.
30. **გველესიანი** იოსებ იოსების ძე—კომერსანტი.
31. **მერკვილაძე** იოსებ ნიკოს ძე—„თბილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოების თავმჯდომარე“.
32. **თიკანაძე** ივანე ელიზბარის ძე—ექიმი.
33. **მაღალაშვილი** ივანე გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
34. **ვაჩნაძე** ლევან ალექსანდრეს ძე—ხმოსანი (ქალაქის)
35. **მერკვილაძე** ნოშრევან ნიკოლოზის ძე—ხელოსანი.
36. **ბერძნიშვილი** ივანე სიმონის ძე—ხელოსანი.
37. **ივანიცკი** ვახტანგ აპოლონის ძე— მთის ინჟინერი.
38. **ხახუტაშვილი** ნიკოლოზ ანტონის ძე—ვაჭარი.
39. **ბარაყანიძე** ვასილი ავთანდილის ძე—ბუღალტერი.
40. **ჭყონია** სეონ შერვანდინის ძე—კომერსანტი.

## თბილისი, მკათათვის 26.

# უმთავრობო რუსეთი

პეტროგრადის „ბოლშევიკების" აჯანყების ჩაქრობის შემდეგ რუსეთს ოფიციალად „რევოლუციის დამხსნელი მთავრობა" ჰმართავს და ისეთი განუსაზღვრელი უფლებებითაც, რომ მას პირველ დღიდანვე „დიქტატურა" უწოდეს.

მაგრამ სად არის ნამდვილად ეს „დიქტატურა"? ან ვინ არის დიქტატორი?

ჯერ დიქტატურა ვითომც მთელ სამინისტროს ხელში იყო, მერმე მინისტრებმა თანდათან დაიწყეს გასვლა მთავრობიდან და დიქტატორობას მხოლოდ კერენსკის და წერეთელს თუ დასწამებდენ.

მერმე კიდევ მთელი სამინისტრო გადადგა და უფლება მხოლოდ კერენსკის შერჩა.—კერენსკიმ ვერ გაუძლო ინდივიდუალ დიქტატურის მძიმე ტვირთს და თვითონაც გადადგა.—რუსეთი უმთავრობოდ დარჩა.

მაგრამ როცა ჩვეულებრივად სამინისტრო გადადგება ხოლმე, იგი განსაკუთრებულ ორგანოს უბრუნებს თავის უფლებას, ისეთ ორგანოს, საიდანაც მიიღო ეს უფლება.

კერენსკის სამინისტროს ასეთი უფლების პატრონი ორგანო არა ჰქონდა! ვინ არის სამინისტროს დამბადებელი ორგანო: „მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა" საბჭო, სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი თუ პირდაპირ ცალკე პოლიტიკური პარტიები—მაგალითად—კადეტების პარტია.

ეს კითხვა ძალიან ძნელი გადასაწყვეტია—ყოველს შემთხვევაში, არც ერთ ამ ორგანოს არ ძალუძს ცალკე სრულ უფლება მოსილობა დაამტკიცოს... იმავე დროს მათ შორის არც კავშირი, და არც კოალიცია არ არის. ამიტომაც უკვე ერთი თვე სრულდება რაც რუსეთს ერთიანი, მთელი სახელმწიფოს ნდობით და პატივისცემით თუ არა მოკრძალებით მაინც მოსილი მთავრობა არა ჰყავს.

რუსეთში ახლა ორი მთავრობა არის: ერთი სოციალისტური—მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მეთაურნი, მეორე ბურჟუაზიული—სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი. ვინც ერთს უსმენს, ის მეორეს არ ემორჩილება და წინააღმდეგაც მიდის.

ახლა კერენსკის ხელახლავ აბარებენ სამინისტროს შედგენას, აბარებენ ცალცალკე, საბჭოს წევრები, სახელმწიფო სათათბიროს წევრები და აბარებენ კადეტებიც.

კერენსკი თანხმდება ამ მძიმე დავალებას და კიდეც აცხადებს: ისეთი ცვლილებანი უნდა შევიტანო მთავრობის მუშაობაში, რომელიც ხელს შეუწყობს სარევოლუციო მთავრობის ძალის განმტკიცებას, თუნდაც ამან ჩემი პასუხისგება დაამძიმოსო.

კერენსკის აზრი რომ უპრალოდ გამოვსთქვათ, იმას კვლავ დიქტატურა აქვს სახეში—ამ ჟამად დიქტატურა უფრო პირადული.

მაგრამ ვის უნდა დაეყრდნოს დიქტატორი კერენსკი—რუსეთში ამჟამად არც სოციალისტურ და არც ბურჟუაზიულ პარტიებს ძალა არ შესწევთ რომელიმე ერთი კლასის დიქტატურა რომ განახორციელონ.. და იმავე დროს არც ამ პარტიათა და კლასთა კავშირი არსებობს, რომ ამ კოალიციამ შემოსოს უფლებით კერენსკი.

ამიტომაც საეჭვოა რომ კერენსკის დიქტატურამ დაიხსნას კრიზისიდან ან რევოლუცია ან რუსეთი.

რუსეთის კლასთა და პარტიათა შორის განწყობილება შეუძლებლად ჰქმნის მთავრობის კრიზისის ნორმალურ დასრულებას.

ტერაპევტიული ზომები აღარ კმარის—ქირურგიული ოპერაცია კი ძლიერ სახიფათოა ომითა და რევოლუციით მისუსტებულ რუსეთისათვის.

# საქალაქო არჩევნებისათვის

ამ თვის 30-ს, ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში, მაგალითად გურჯაანში კახეთის მევენახეთა კავშირებისაგან, დანიშნულია სხვა და სხვა საზოგადოებათაგან მათი წევრების საზოგადო კრებები. ეს გარემოება ხელს შეუშლის ქართულ პარტიების საქმეს არჩევნებში, რადგანაც გაიწვევს თბილისიდან ბევრს ამომრჩეველს. ამიტომაც დიდათ საჭიროა, რომ ყველა საზოგადოებამ 30 ივლისისათვის დანიშნული კრებები გადასდონ და მით ხელი შეუწყონ ქართულ პარტიებს ქალაქის არჩევნებში.

# არჩევნები და ჯარი

დღევანდელი რევოლიუცია, უკეთუ იგი ნორმალად განვითარდა და დამთავრდა, დაამყარებს რუსეთში დემოკრატიულ რესპუბლიკანურ წეს-წყობილებას, რომლის შემწეობით ხალხს მიეცემა შეძლება თვითმყრობელობის მიერ შებოჭვილი თვისი შემოქმედებითი ნიჭი და თაოსნობა აამოქმედოს და მით სახელმწიფო ჩქარი ტემპით გაიყვანოს დარღვევის პროცესსიდან.

რევოლიუციის მესვეურნი ამთავითვე ცდილობენ სასურველი და ცხოვრებასთან შეფარდებულ კანონმდებლობის მეოხებით გადასცენ თვით ერს მართვა-გამგეობის საქმე, რომ ხალხი უახლოვესად დაინტერესდეს სახელმწიფოს წესიერი მოწყობით და, მაშასადამე, აღკვეთოს უპასუხისმგებლო და გამთიშველ ძალების დამღუპველი გავლენა.

ამ მიზნის მისაღწევად რევოლიუციურ მთავრობის ყურადღება პირველ ყოვლისა მიქცეულია ადგილობრივ ძალების მობილიზაციაზე და აქი მთავრობის ერთ პირველ აქტთაგანი იყო ახალი საქალაქო თვითმართველობის დებულების გამოქვეყნება, რომელიც კატეგორიულად უარს ყოფს ძველს პლუტოკრატიის სასარგებლო კანონს და სათავეში აყენებს ერის უმრავლესობას, მის დემოკრატიულ ნაწილს.

ჩვენ გვქონდა შემთხვევა „საქართველოს" ფურცელზე გვესაუბრა მკითხველთან აწ გამოქვეყნებულ და მოქმედ დებულებაზე, ამიტომ დღეს მისი ღირსების და უპირატესობის დახასიათებას აღარ შეუდგებით, მით უმეტეს, რომ ეს ყველასათვის გასაგებია და ცხადი, და აი ის აღფრთოვანება, რომლითაც ხალხი შეხვდა ახალ კანონს, ამტკიცებს იმას, რომ, ეს კანონი სრულიად შეესაბამება უმრავლესობის სურვილს. მაგრამ ამ ყოვლად სასურველ და უწიკვლო დებულებას პრაქტიკაში გატარების დროს აღმოაჩნდა უკუღმა მხარეც, სარჩული, ისე რომ, თუ ყველა ქალაქებში არჩევნები მოხდა ამისდამიხედვით, შესაძლებელია არა სასურველ შედეგებს წავაწყდეთ.

თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ მხარს უჭერთ ოთხ-წევრიან ფორმულას საზოგადოთ არჩევნებში, ესე იგი, რომ არჩევნები ხდებოდეს პირდაპირი, თანასწორი, ფარული და საყოველთაო ხმის მიცემით; ამ ფორმულის უარისმყოფელი ვერ გამოვა დემოკრატიულ დროშის ქვეშ, ვინაიდგან დღეს ცხოვრების განვითარება, კულტურის ზრდა და ვითარება ხსენებულ ფორმულას თავის თავად იგულისხმებს და მას აყენებს სახელმწიფო წყობილების აუცილებელ ელემენტად.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ვითარცა მაღიარებელი ჭეშმარიტ ხალხოსნურ იდეალებისა, რასაკვირველია, ამავე დროს სავსებით ემხრობა საყოველთაო არჩევნების პრინციპს პროპორციულ სისტემაზე აგებულს, მაგრამ დღეს ჩვენ გვაფიქრებს სწორედ ის, რასაც ზემოთ ახალი დებულების სარჩული ვუწოდეთ. აქ კორრექტივის შეტანა აუცილებელია და მისი გათვალისწინება ნათელ ჰყოფს იმ აზრს, რომ ყველასათვის სასარგებლო და ნამდვილი დემოკრატიული კანონი უკიდურესობამდე მიყვანილი აბსურდათ გადაიქცევა.

მოქმედი საარჩევნო კანონი, როგორც ვიცით, ჯარსაც არგუნებს საარჩევნო უფლებას, როგორც აქტიურს, აგრეთვე პასიურსაც. დებულების ამ მხარეს მოწინააღმდეგენი მოეპოვება და არა მარტო რეაქციონურ წრეებში: კანონმდებელს უსაყვედურებენ იმას, რომ მან ჯარის-კაცთა უფლება გამოქვეყნებულ კანონში შეიტანა, ეჭვი არ არის, „დამოუკიდებელ მიზეზთა" ზეგავლენით, რადგანაც ამ მომენტის შეტანა სრულიადაც არ აღრმავებს კანონის დემოკრატიულ მიდრეკილებას. საარჩევნო კანონს აქვს ადგილობრივი ხასიათი, იგი ეხება ამა თუ იმ პროვინციის მკვიდრთა ინტერესებს, იგი არგუნებს მოქალაქეთ საშუალებას სახელმწიფო ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც მათ ეხება, როგორც გარეგნულად, ფიზიკურად, აგრეთვე წმინდა ფსიხოლოგიური სიახლოვით, მოაწყონ ისე, როგორც ამას მოითხოვს ადგილობრივი პირობები, ზნე-ჩვეულება და ხალხის შემეცნება. რას ვხედავთ დღეს ჩვენ? ავიღოთ თბილისის მაგალითი: შემთხვევით ათასობით თავმოყრილ ელემენტს, შეიარაღებულს—პოზიციაზე გასაგზავნად დამზადებულს, ან და შესასვენებლად დაბანაკებულ—ჯარს, რომლის უმეტეს ნაწილს არაფერი აქვს საერთო არც ქალაქთან და არც მის მცხოვრებლებთან, მიანიჭეს უფლება თვისი ხმებით სრულიად სხვა ელფერი მისცეს მომავალ ქალაქის თვითმართველობას! თუ ჩვენ ვერ ვისარგებლებთ ქალაქიდან ათასობით გაყვანილ ამომრჩევლების ხმებით, თუ ისინი ამ შემთხვევაში საარჩევნო სიებისათვის სავსებით დაკარგულია, რათ დაგვჭირდა სხვა ახლები? კოსტრომიდან ან პენზიდან მოსულ სალდათმა ნუ თუ უნდა შეავსოს ის დანაკლისი, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით საკუთარი ძმების და შვილების აქ არ ყოფნით? ბათუმის მაგალითმა ნათლად დაგვანახვა, რა შედეგი მოსდევს გარემოებასთან შეუთანხმებულ აზროვნების სწორწარზიდულად ცხოვრებაში გატარებას; ამ სიყალბის უკუ საგდებლად უწინარეს ყოვლისა უნდა მიქცეულიყო საზოგადოების ყურადღება...

რ. ინგილო.

# ომი და ზავი

### დეპეშები

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 24. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** ბროდის დასავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. ჩერნოვიცის ჩრდილო დასავლეთით ჩვენი ჯარი იერიშზე გადავიდა და მტრის სანგრები იგდო ხელთ. ამას გარდა ხელთ ვიგდეთ მტრის ზარბაზნები. მაგრამ შემდეგ მტერმა სასტიკი კონტრ-იერიშით ჩვენები აიძულა დიდი დანაკლისით უკან დაეხია. იარაღის და სხვა სამხედრო სურსათის წაღება შეუძლებელი შეიქმნა, ამიტომ ისინი გერმანელებმა იგდეს ხელთ. ჩერნოვიცის სამხრეთით მტერი კვლავ წინ მიიწევს და ჩვენ ჯარს სწრაფ უკან ახევინებს. დღის განმავლობაში მტერმა აიღო ქალაქები გლიბოკა, კამენკა, ვოლოხინეცი, გალინ-ფალხაგორი და რადაუცი. ჩვენმა ჯარმა სცადა მტრის შეჩერება მაგრამ ამაოდ.

**რუმინეთის ფრონტი.** კიმპოლუნგის მიმართულებით ჩვენი ჯარი უკან იხევს. მტერმა მდინარე ბისტრიცა და ბროსჩენი გადმოლახა.

**კავკასიის ფრონტი.** მდგომარეობა უცვლელია.

**მფრინავთა მოქმედება.** მკათათვის 23 ჩვენმა მფრინავებმა ქალაქ ბარანოვიჩს ყუმბარები დაუშინეს. მოხდა რამოდენიმე აფეთქება.

**ახლო აღმოსავლეთის ფრონტი.** ოხრიდის და პრესპას რაიონში მტერი ჩვენ სანგრებს ყუმბარებს უშენდა.

**კავკასიის ჯარის ხარდლის მოხსენება.**

**თბილისი.** მკათათვის 24. პირველი კორპუსის კომანდირი მაცნობებს მე, რომ 153 ბაქოს ქვეითა ჯარის პოლკმა, შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა დასავლეთის ფრონტზე მომხდარ სამწუხარო ამბავზე: ეს ხოვოს პოლკის კომანდირს საჩქაროდ აცნობოს დროებით მთავრობას, რომ გამოქცეული ჯარის-კაცნი, რომელნიც განზრახ ასამარებენ სამშობლოს და მის ნორჩ თავისუფლებას, უნდა დასჯილ იქმნენ ვიდრე დახვრეტამდე, რათა ამით შეუყენებულ იქმნას მომავალი გახრწნა ჯარსა და დახსნილი აუცილებელ დაღუპვისაგან დიდი რუსეთი. ბაქოელნი, ერთგულნი სამშობლოსი და დროებითი მთავრობის ბრძანებათა, სავსებით აძლევენ თავიანთ თავს მის სრულს განკარგულებაში და აღიარებენ საქვეყნოდ, რომ ისინი პირველ დაძახებაზედვე მზად არიან შეაბრუნონ ხიშტები წინააღმდეგ შინა მტრებისა, პროვოკატორებისა, მოღალატეებისა და სისხლით გაჟღენთილ ბრძოლის ველიდან, სადაც სწყდება ბედი და კეთილდღეობა ჩვენი შვილებისა, ჩვენი ოჯახებისა და ჩვენი დიდი სამშობლოსი. კორპუსის კომანდირი შუამდგომლობს ეცნობოს ეს ტელეგრამა დროებით მთავრობას.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მკათათვის 21. ოფიციალი. ავდარი გრძელდება. მონშიდან პრეს დასავლეთით ხოლმის ასპარეზზე მტერმა კვლავ იერიშები მოჰქონდა. მტერმა ზოგიერთა უბნები დაიჭირა. კონტრ-იერიშებით დაჭერილ თხრილების მოზრდილი ნაწილი დავაცლევინეთ. კუანის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ვერენოტის ჩრდილო-დასავლეთით მტერი იერიშების მოტანას შეეცადა.

**ლონდონი.** მკათათვის 23. ბიკსხოოტეს ჩრდილო-დასავლეთით ფრანგის ჯარი წინსვლას განაგრძობს. გოლენბეკესა და იპრ-კომინის არხის მიდამოებში ძლიერ მტრის არტილერია მოქმედებდა. ვერმელის აღმოსავლეთით ჩვენები მტერს თავს დაესხნენ.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა**

**პარიზი.** მკათათვის 22. თუმცა ავდარია, მაგრამ ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ჩვენმა მზვერავებმა დაიფრინეს მტრის რაზმები. მაასის ორივე კიდით სროლაა. მტრის იერიშები ავოკურის ტყის სანგრებზე მოვიგერიეთ. არგონებში წამოვიყვანეთ ტყვეები.

**პარიზი.** მკათათვის 23. საღამოს ცნობა. ბელგიაში, დიქსმოიდეს მიდამოებში საარტილერიო სროლა ცხოველდება. ჩვენმა რაზმებმა დაიკავეს ორი ფერმა სტინსტრატეს—ჟუმპის გზის დასავლეთით. ძლიერ ცუდი დარია. სენ-კარტენის მიდამოებში, სერნის მთის აღმოსავლეთით, ჩვენი არტილერია აფრქვევდა გამანადგურებელ ცეცხლს მტრის სანგრებზე. მოვიგერიეთ გერმანელების ორი იერიში, ვიდრე მტერი მოაღწევდა ჩვენს ხაზამდე, ავოკურა-დუმონას ნაწილში. დანარჩენს ფრონტზე აღსანიშნავი არაფერია.

**ახლო აღმოსავლეთი.** მკათათვის 22. ვარდარის აღმოსავლეთით, საარტილერიო შემზადების შემდეგ, მტერი ეცადა ანაზდეულად დასცემოდა ჩვენს სადარაჯოებს რომანის მახლობლად, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ვარდარის დასავლეთით საშუალო მოქმედებაა არტილერიისა.

ბრიტანეთის მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს იონიკოის, 30 კილომეტრზე პეტრიჩის ჩრდილოეთით.

**ჰავრი,** მკათათვის 22. ბელგიელთ ცნობა. ცუდი დარის გამო საარტილერიო მოქმედება შეზღუდულია მთელ ფრონტზე. რამსკაპელეს ნაწილის წინ ზარბაზნებს ვუშენდით გერმანელთა ორს ბატარეას.

**პარიზი** მკათათვის 23. საღამოს ოფიციალი ცნობა. ბელგიაში ქვეითა ბრძოლა არ ყოფილა. ჩვენმა პატრულებმა ხელთ იგდეს მტრის ორი ტყვიისმფრქვეველი. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი.** მკათათვის 21. მთელ ბელგიის ფრონტზე ავდარია. სერნის სამხრეთით და აღმოსავლეთით გერმანელებმა ფრონტის 1500 მეტრის მანძილზე ძლიერი იერიშები მოიტანეს. ყველა იერიშები მოვიგერიეთ. მტერმა დიდი ზარალი ნახა. მაასის ორთავ მხარეზე საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი.** მკათათვის 23. მდინარე ენის ჩრდილოეთით გერმანელები ზოგ ზოგ ალაგას შემოტევას შეეცადნენ. კაზემატის ზეგანზე იერიშები მოვიგერიეთ. ჟუვენკურის სამხრეთით მტერმა შუადღისას ცხარე იერიში მოიტანა. ცხარე ბრძოლით დაჭერილი სანგრები დავაცლევინეთ. მაასის ორსავ მხარეს საარტილერიო ბრძოლა მწვავდება. განსაკუთრებით კი—მორტომის რაიონში და კორერის ტყეში.

**ბელგიის ბანაკის ცნობა.**

**ჰავრი.** მკათათვის 20. ოფიციალი. ღამის განმავლობაში არტილერია მხნედ მოქმედებდა. ჩვენები მტრის სანგრებს ყუმბარებს უშენდენ.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** მკათათვის 23. ოფიციალი. მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა. მკათათვის 22 მტრის მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ჩვენ სანგრებს მდინარე იზონცოზე.

**ალბანეთის ფრონტი.** ჩვენებმა დაატყვევეს მტრის პატრული.

**რომი.** მკათათვის 22. პოლონეს მთის რაიონში, აზიაგოს ზეგანზე, კომბრონის მთაზე და იზონცოზე ქვეითა ჯარის შეტაკება ხდება. აზიაგოს ზეგანზე და იზონცზე არტილერია სუსტად მოქმედობდა.

**რომი.** მკათათვის 22. მთელ ფრონტზე ხან გამოშვებით საარტილერიო მოქმედება და პატრულების შეტაკება სწარმოებდა. ვერტოიბის დასავლეთით და რომბონის მთაზე გუშინღამ მტერმა იერიშები მოიტანა. მტრის იერიშები მარჯვედ მოვიგერიეთ.

**„ბათალიონი სიკვდილისა"**

**ჟიტომირი.** მკათათვის 26. დეპუტატთა საბჭოების ინიციატივით დაარსდა „ბათალიონი სიკვდილისა", რომელიც მოკლე ხანში პოზიციაზე წავა.

**მოქმედი ფლოტი.** მკათათვის 23. საზღვაო სამინისტროს გამგე ლებედევმა კუნძულ ეზელის ფორტები და საზღვაო ბატარეები დაათვალიერა. სანაპიროს საკვირველად მტერთან საბრძოლველად მოუწოდებდა. მის მოწოდებებს ხალხი აღფრთოვანებით ეგებებოდა. ლებედევმა ინახულა აგრეთვე არენსბურგის მეცხოვრენი, ჯარის კაცთა და მეზღვაურთა მრავალრიცხოვან ყრილობაზე სალაშქრო კომიტეტების მნიშვნელობასა და სარგებლობაზე ილაპარაკა. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ იმედი გამოსთქვა, რომ ადგილობრივი მეცხოვრენი რევოლუციასა და დროებით მთავრობას არ უღალატებენ. ლებედევმა ინახულა აგრეთვე კილკონდის საავიაციო სადგური. აქედან ჰიდროპლანით გაიცილეს. რიგის ყურის სანაპირო ასპარეზზე ჯარი მხნედ არის.

**მტრის მფრინავის გამოჩენა**

**ოდესა.** მკათათვია 24. ოდესიდან 60 ვერსზე შენიშნეს მტრის ჰიდროპლანი; ოდესაში დაუყოვნებლივ მიიღეს თავ-დაცვის ზომები, მაგრამ ჰიდროპლანი არ გამოჩენილა ოდესის თავზე.

**მინისტრის გადადგომა.**

**პარიზი.** მკათათვის 20. საზღვაო მინისტრი ლაკაზი და უცხო საქმეთა მთავარ მდივნის თანაშემწე დენი სამსახურიდან გადადგნენ.

**საფრანგეთის პრესსა ტერეშჩენკოს ცირკულიარის შესახებ.**

**პარიზი.** მკათათვის 21. უცხო საქმეთა მინისტრის, ტერეშჩენკოს, ტელეგრამას დიდის კმაყოფილებით შეხვდა საზოგადოება და პრესსა. უკანასკნელს სწამს, რომ ენერგია რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეთა და გმირული მაგალითი ინგლის-ფრანგების ჯარებისა შეაძლებინებენ რუსეთს შეადგინოს წესიერად მომქმედი რესპუბლიკანური მთავრობა. სამხედრო მარცხები, როგორც შედეგი ღალატისა და ქადილისა, ვერ დაუშლის მას პირნათლად შეასრულოს თავისი როლი გერმანიის მოწინააღმდეგე კავშირში.

**საერთაშორისო კონფერენციის გარშემო.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 20. გლეხთა ყრილობის აღმასრულებელ კომიტეტს მსჯელობა ჰქონდა ომის საკითხზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ომის დასაბოლოვებლად საჭიროა მოწვეულ იქმნეს საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია.

**ბრიტანეთის მუშები და რუსეთი**

**ლონდონი.** მკათათვის 21. გამოქვეყნდა მანიფესტი ბრიტანეთის მუშალიგისა, რომელშიაც ეხებიან რა რუსეთის დელეგატების მოგზაურობას, შემდეგს ამბობენ: ინგლისში არ მოიპოვება არც ერთი გონიერი კაცი, რომელიც არ გრძნობდეს რუსეთისადმი სიმპატიასა და არ თანაუგრძნობდეს მას გაჭირვებაში. ეხლა კი დადგა დრო, რომ ჩვენ ვაცნობოთ ჩვენს მოკავშირეს, რომ რუსეთის რევოლუციონერთა შეხედულებანი არ ეთანხმებიან ინგლისელების ეროვნულ სუვერენიტეტს.

**სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო**

**ლონდონი.** მკათათვის 21. სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების გამო სოციალისტ ლიდერების ხმა შუაზე გაიყო. მაკდონალდმა, იჟორდმა, ბროლმეიმ, მაიდნეიმ, იუეშმა, სნოუდენმა და რიჩარდ სონმა მხარი დაუჭირეს გენდერსონის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას. რობერტმა, ფრეშმა, ბერნსმა, ტილდენ კი ამათ წინააღმდეგ გაილაშქრეს.

**პოლონელთა ლეგიონერებს ფიცის მიუღებლობის გამო ჯამაგირი მოუსპეს**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 22. ვარშავიდან იუწყებიან, რომ მარიამობისთვის პირველიდან (ახალი სტილით) პოლონელთა ლეგიონების აფიცრებსა და ჯარის კაცებს ფიცის მიუღებლობის გამო ჯამაგირი მოუსპეს. მათ ტყვეების ბანაკში მისცეს ბინა.

**მისალოცი დეპეშა მეფეებსა და პრეზიდენტებს**

**ლონდონი.** მკათათვის 22. ინგლისის მეფემ იაპონიის იმპერატორს, სერბეთის, იტალიის და რუმინეთის მეფეთ და საფრანგეთისა, ამერიკის და პორტუგალიის პრეზიდენტებს სამის წლის ომის გამო, გამარჯვების იმედით მისალოცი დეპეშები დაუგზავნა.

**ჩინეთი გერმანეთს ომს უცხადებს**

**პარიზი.** მკათათვის 22. პეკინიდან იუწყებიან, რომ მინისტრთა საბჭომ ჩინეთის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, გადაწყვიტა გერმანეთს ომი გამოუცხადოს.

**უკრაინის და ბუკოვინის გამგეობის გაუქმება**

**მოქმედი ჯარი.** მკათათვის 22. უკრაინის და გალიციის გამგეობა დროებით კიევში გადაიტანეს. გამგე კომისარმა მიიღო ბრძანება 1 თვის განმავლობაში მ ახვინოს საქმეების ლიკვიდაცია, ვინაიდან ამიერიდან გამგეობა უქმდება.

**ნიკოლოზ II და ელზას-ლორენი**

**პარიზი** მკათათვის 20. რიბომ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ ნიკოლოზ II-თან რევოლუციამდე იყო მოლაპარაკება ელზას ლოტარინგიის შესახებ. ნიკოლოზ მეორე ფიქრობდა ელზას ლოტარინგიის მიწებიდან ავტონომიური სახელმწიფო შექმნა, რომელიც, როგორც ბელგიი, დაიცავდა საფრანგეთს გერმანეთის თავდასხმისაგან.

**პარიზი.** მკათათვის 21 (დაგვიანებული). პენლევემ დროებით იკისრა საზღვაო მინისტრის თანამდებობა.

სხდომები დეპუტატთა პალატისა და სენატისა გადაიდო 5 აგვისტომდე.

**პარიზი.** მკათათვის 23. გარდაიცვალა მილიონერი პოლიაკოვი, გამგე რუსეთის მიერ ფრანგების ჯარისკაცთათვის დაარსებულ დიდი ჰოსპიტლისა.

**გერმანეთის საიმპერიო კაბინეტის შემადგენლობა**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 23. როგორც იტყობინება „ფოსიშე-ცაიტუნგი", გერმანეთის საიმპერიო კაბინეტში შევლენ: ჰელფერიხი—კანცლერის მაგიერი; კიულმანი—უცხო საქმეთა მთავარ-მდივანი; ობერ-ბურგომისტრი კელნა-ბალრიფი—შინაგან საქმეთა მინისტრი—ჰესერი, ნიურნბერგის ყოფილი ობერ-ბურგომისტრი—მთავარ მდივანი ეკონომიურ უწყებისა და კრაუზე, ნაციონალ ლიბერალი—იუსტიც ის მინისტრი.

# სარევოლუციო დიქტატურა

### დეპეშები

**კერენსკი დაუბრუნდა თანამდებობას.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 22. საზამთრო შენობაში საღამოს 5 საათზე მთავრობის სხდომა მოხდა. სხდომას დაესწრო პეტროგრადს დაბრუნებული კერენსკი. მიიღო რა სრული ნდობა ახალ კაბინეტის შედგენაში, კერენსკიმ გადადგომის განცხადება დაიბრუნა. მინისტრ თავმჯდომარემ მთელი საღამო გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან საუბარს მოანდომა.

**ხალხს თავისუფლების პარტიამ კერენსკის კაბინეტის შედგენაში დახმარება აღუთქვა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 22. ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალი კომიტეტი სრულს ნდობას უცხადებს კერენსკის. იგი თანაუგრძნობს აგრეთვე მის მიერ საერთო ნაციონალურ ნიადაგზე კაბინეტის შედგენას და ახალ კაბინეტის შედგენაში პარტიის სრულ დახმარებას აღუთქვამს.

**მოსკოვის ჯარების უფროსის ბრძანება.**

**მოსკოვი.** მკათათვის 22. მოსკოვის ჯარების უფროსმა პოლკოვნიკმა ვერხოვსკიმ ბრძანება გამოაქვეყნა, რომელშიაც ჯარის-კაცებს და აფიცრებს მოუწოდებს წესიერად თავიანთ მოვალეობის შესრულებას. ჯარში აგიტატორობის გაწევის უფლება ყველას ეძლევა, იმ შემთხვევაში, თუ ამის სათანადო მოწმობა ექნებათ აღებული მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოების აღმ. კომიტეტებისაგან. ამ ბრძანების შესრულების თვალყურის დევნა ევალება ქალაქის კომენდანტს და გარნიზონის უფროსს, რომელთაც შემთხვევის დროს სასტიკი ზომების მიღების უფლებაც ეძლევათ.

**სამხედრო ცენზურა.**

**მოსკოვი.** მკათათვის დროებითი სამხედრო ცენზურის თავმჯდომარეობით და პრესის წარმომადგენლების თანადასწრებით მოხდა ბჭობა სამხედრო ცენზურის შემოღების გამო.

**როძიანკოს მოხსენება.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 22. სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა, მიიღო რა როძიანკოს მოხსენება იმ სხდომის შესახებ, რომელიც მოხდა საზამთრო სასახლეში 22 მკათათვის ღამეს, აღიარა, რომ შეუძლებელია დაყოვნება ძლიერი მთავრობის შექმნაში, რის გამოც ასეთი საამშენებლო მიზნის წინაშე და ასეთ მძიმე დროს თვით უნდა მოიხარონ ყველა პარტიათა და კლასთა შეუთანხმებლობანი და ინტერესები. დროებითი კომიტეტი აუცილებელ საჭიროებათ სთვლის მიანდოს კერენსკის კაბინეტის შედგენა ისეთ პირების მოწვევით, რომლებიც გამსჭვალულნი არიან რუსეთის ხსნის დიადი აზრით, რათაც უნდა დაუჯდეთ ეს.

**ტროცკის და ლუნაჩარსკის შეპყრობა**

**პეტროგრადი.** მკათათვის 22. სასამართლო პალატის პროკურორმა ბრძანა ტროცკის და ლუნაჩარსკის შეპყრობა. მათ ბრალად ედებათ 3—5 ივლისის ამბოხების მოწყობა.

**ბოლშევიკების შეპყრობა**

**კამიშინი.** მკათათვის 24. ჯარისკაცების მოთხოვნილებით დააპატიმრეს ცარიცინის ბოლშევიკების ლიდერები მინინი და ანტონოვი.

# კერენსკის განცხადება

**პეტროგრადი.** მკათათვის 22 (დაგვიანებულია). რადგანაც შეუძლებელი გახდა შექმნა ძლიერი რევოლუციური ხელისუფლებისა ამ მრისხანე საათში სხვა და სხვა პოლიტიკურ, სოციალისტურ და არა სოციალისტურ მიმდინარეობათა შეთანხმებით, მე იძულებუ-

ლი გავხდი გადამდგარიყავ თანამდებობიდან. მაგრამ 21 მკათათვეს შემდგარ სოციალისტურ, დემოკრატიულ და ლიბერალურ უმთავრეს პარტიათა წარმომადგენელთა საბჭომ დიდი ხნის ბჭობის შემდეგ, მომანდო მე მთავრობის განახლების საქმე. ასეთს გარემოებაში, როცა ქვეყანას მტრის განადგურება გარედან და დანაწილება შიგნიდან, მე არ ძალმიძს გავექცე უღმობელ მოვალეობას, რომელსაც მაკისრებენ მე დღეს, ეს მე მესმის, როგორც ურყევი ბრძანება ქვეყნისა, შევქმნა სულ მოკლე ხანში, გარეშე ყოველ მოსალოდნელ დაბრკოლებათა, ძლიერი რევოლუციური ხელმწიფება (власть). ამ მიზნის განხორციელების საფუძვლად მე მიმაჩნია ჩემი ის შეურყეველი რწმენა, რომ სამშობლოსი და რესპუბლიკის ხსნა აუცილებლად თხოულობს პარტიათა შუღლის დავიწყებას და თავდადებულ მუშაობას რუსეთის ყველა მოქალაქეთა ომის გაგრძელებისა. ჯარის საომარი უნარის შენარჩუნებისა და სახელმწიფოს სამეურნეო ძლიერების აღდგენისათვის. მთავრობის ამ განახლების საფუძვლად დაედება ის დასაბამნი, რომლებიც გამოქვეყნებულ იქმნენ დროებითი მთავრობის დეკლარაციებში. ამასთან, როგორც მთავრობის სათავეში მდგომი, მე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია შევიტანო ცვლილებანი და წესიერება მთავრობის სამუშაოთა განაწილებაში.

ა. კერენსკი.

# სამხედრო დიქტატურა

პეტროგრადში გაცხარებული მუშაობაა. ახალგაზრდათა ჯგუფები ჯავშნიან ავტომობილებით დადიან ქუჩაქუჩა და სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციების სადგომებს ჩხრეკენ და ანადგურებენ. არ არჩევენ არც ბოლშევიკებს და არც მენშევიკებს. თუ სადმე გზაზე პროფესიონალურ კავშირის სადგომი შეამჩნიეს იუნკრები მასაც არბევენ. იარაღს ჰყრიან ფაბრიკა ქარხანაში მომუშავეებს. პეტროგრადში ეხლა ისეთი მდგომარეობაა, რომ იარაღის ტარება მუშის გარდა ყველას შეუძლიათ.

იარაღს ჰყრიან აგრეთვე მილიციონერებს. სამხედრო ნაწილები თავიანთ ნებით მიემგზავრებიან ფინეთში, ჰჩხრეკენ და ვინც კი მოეპოვებათ აპატიმრებენ.

პეტროგრადის მუშათა კლასი სამხედრო დიქტატურის კლანჭებშია.

# ეროვნული საკითხი

**ახალ-სასეიმო არჩევნებისათვის.**

**ჰელსინგფორსი.** მკათათვის 24. გენერალმა სენატმა გუბერნატორებს, რომ ახალ სასეიმო არჩევნების სამუშაოს შეუდგნენ, ვინაიდან არჩევნები მკათათვის 18-ის მანიფესტით ელ ..... დროს მოხდება.

# რუსეთი და უცხოეთი

**შეერთებულ შტატების საგარეო ვაჭრობა.**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 19. შეერთებულ შტატების საგარეო ვაჭრობის ბალანსის ოფიციალური ცხრილი დასრულებულ იქნა. საფინანსო წლის ციფრები განსაცვიფრებელია: გაზიდულ საქონლის ფასი 6 მ ლიარდსა და 300 დოლლარს უდრის, შეტანა — 2 მილიარდისა და 700 მილიონისა.

**თავისუფლების სესხი.**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 21. ფინანსების სამინისტრომ ღვინობისთვის 2-ისთვის გამოაცხადა, რომ გამოცემულ იქნება 3 მილიარდი დოლლარის თავისუფლების სესხი.

**პარლამენტის სხდომების შეწყვეტა.**

**ლონდონი.** მკათათვის 21. ხმა დადის, რომ 4 აგვისტოს შეწყვეტილი იქნება პარლამენტის სხდომები საარდადეგოდ. არდადეგები გაგრძელდება ოქტომბრის მეორე კვირამდე.

**ცარიცინში ჯარი გაგზავნეს.**

**სარატოვი.** მკათათვის 22. ოლქის სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილებამ ცარიცინში ქალაქის სათათბიროს არჩევნები დაარღვია. ამის გამო აქ არჩევნებში 9 საათის ნაცვლად 11 საათზე დასრულდა. საარჩევნო ყუთების სიცოტავის გამო ბევრმა ბიულეტენების მიცემა ვერ მოასწრო. ცარიცინის მდგომარეობის გამო იქ სარატოვიდან ჯარი გაგზავნეს.

**შეერთებულმა შტატებმა ბელგიას სესხი მისცეს.**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 21. შეერთებული შტატები ბელგიის მთავრობის საჭიროებათათვის $2\frac{1}{2}$ მილიონიან დოლარის სესხზე დასთანხმდა. ეს სესხი იმ 45 მილიონიან სესხის დამატებად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ამას წინად იგალა ბელგიამ და რომლის თანახმად ყოველ თვიურად $7\frac{1}{2}$ მილიონი დოლლარი ეძლევა.

**ავსტრალიელ მოქალაქეთა რეზოლიუცია.**

**მელბურნი.** მკათათვის 22. ავსტრალიის პრემიერი იუზი ავსტრალიელ მოქალაქეთა მიტინგზე ხალხს გერმანელთა წინააღმდეგ მოუწოდებდა. გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელიც გერმანელთა დესპოტიზმის შემუსვრამდე ომის გაგრძელების სურვილს გამოსთქვამს.

**ბ ა ზ ა რ ი.**

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მკათათვის 23. ამ უკანასკნელ დღეებში ბაზარს მეტი სიცოცხლე დაეტყო. უკვე იაპონიის, კავკასიის და ეკატერინბურგის ნაწარმოებმა იჩინა თავი. არის აგრეთვე ურალის ქვები, ტულის ტკბილეულობანი. მრავალია აგრეთვე საათების, ოქრო-ვერცხლის და ბრილიანტის საგნების მაღაზიები. ელიან მრავალ ბეწვეულს. სულ 200 ფირმამდეა, ე. ი. შარშანდელზე 6-ჯერ ნაკლები.

**სამანუფაქტურო მონოპოლია.**

**მოსკოვი.** მკათათვის 22. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საბჭომ მიიღო პროექტი სამანუფაქტურო მონოპოლიისა. დაარსებულია ცენტრალური კომიტეტი დემოკრატიულ ორგანიზაციათა თავმჯდომარეობით, რომლის მიზანია—განაწილება მშრომელ ხალხში და გლეხებში სამანუფაქტურო ნაწარმოებთა: ამ ჟამად 200 მილიონ არშინისა ხალხში ხმარებულ ბამბეულისა, ხოლო მახლობელ დღეებში — მკათათვის პირველისთვის დამზადებულს.

**ბელგიის სამხედრო კაბინეტი.**

**ჰააგა.** მკათათვის 22. შესდგა ბელგიის სამხედრო კაბინეტი, რომელშიაც შედიან: ბროკვილლი—უცხო საქმეთა მინისტრი, კოუნინგი—სამხედრო, ახალშენებისა—რენკე, შინაგან საქმეთა—დეიმანსი და საინტენდანტოსა—ვანდერვეელდე.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მკათათვის 23. დაიწყო სრულიად რუსეთის ერთმორწმუნეთა მე-2-ე ყრილობა. მის პროგრამაში შედის აგრეთვე მართლმორწმუნე „სტაროობრიადც“-ების თემთა ორგანიზაცია, სახელმწიფოს ახალ წყობილებაში და მართლმორწმუნეთა და „სტაროობრიადც“-ების შერიგება. ყრილობა ოთხ დღეს გასტანს.

# დეპეშები პეტროგრადიდან

**დროებითი მთავრობა ჯერ საბოლოოდ არ შემდგარა**

—

**პლეხანოვი მთავრობაში არ შევა.**

—

**ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად პროკოპოვიჩს ნიშნავენ.**

—

**ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრად სალტიკოვის მაგიერ ნიკიტინი ინიშნება.**

—

**მოსალოდნელია კიდევ რამოდენიმე ცვლილება.**

—

**დაატუსაღეს ტროცკი და ლუნაჩარსკი.**

# ქრონიკა

## თბილისი

**ამიერ-კავკასიის კომისარი აკაკი ჩხენკელი** მკათათვის 24-ს სოხუმიდან თბილისს დაბრუნდა.

**პარტიული კრება.** დღეს, მკათათვის 26-ს, საღამოს 8 საათზედ ტურგენევის ქ. № 4. დანიშნულია დიდი პარტიული კრება საქ. ეროვნ.-დემოკ. პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტის მეთაურობით. ამ უბანში მცხოვრებ წევრთ და თანამოაზრეთ კომიტეტი სთხოვს დაესწრონ კრებას, სადაც განხილულ იქნება საქალაქო არჩევნების კითხვები.

**გულქვითილი გამომძიებელი.** მკათათვის 23. მე-4 უბნის კომისარმა დაატუსაღა 4 კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ ნაქურდალი ჯარის კაცთა ჩექმები. ერთი დატუსაღებულთაგანის ხელობა ქურდობა ყოფილა. დატუსაღებულნი შეიდგინენ ბრბოს და შემუშავებული გეგმით იპარავდნენ სახელოსნოებიდან ჩექმებს. დატუსაღებულები კომისარმა გაუგზავნა გამომძიებელ ზენკოვსკის, მაგრამ ამ უკანასკნელმა ისინი მაშინვე გაუშვა. როგორც ამბობენ, ბ-ნი ზენკოვსკი ხშირად ანთავისუფლებს თუმცა აშკარა ქურდებს.

**წრეს გადასული აგიტატორები.** მკათათვის 22-ს მე-6 საკომისაროში რეზმი შეუდგინეს რამდენიმე მოქალაქეს, რომელნიც ამომრჩევლებს არწმუნებდნენ, რომ თუ არჩევნებზე № 1-მა (სოც.-დემოკრატები) გაიმარჯვა, თბილისში სომხების ჟლეტა დაიწყებაო და ურჩევდა ამომრჩევლებს,—ხმა მიეცით სიას № 4-სო (დაშნაკელები). ოქმის დაწერის შემდეგ აგიტატორები, აგამონიანის თავდებობით, განთავისუფლებულ იქმნენ.

**„ქართულ კლუბში“** მკათათვის 23-ს დასრულდა კლუბის წევრთა და ქართველ მხედართა კავშირის წარმომადგენელთა საგანგებო კრება. შეწყნარებულ იქმნა კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი: 1) კავშირს კლუბმა უნდა მისცეს წმინდა შემოსავლის 35 პროც., 2) კლუბის მამასახლისთა საბჭოში კავშირს ეყოლება სრულ უფლებიანი თავისი 6 წარმომადგენელი და 3) კლუბის შენობაში კავშირს დათმობილ უნდა ჰქონდეს ბინა ბიბლიოთეკისა და კანტორისათვის და აგრეთვე საგიმნასტიკო ვარჯიშობისათვის ადგილი.

**ნიხრი.** გუშინ, მკათათვის 25-ს, ნაშუადღევის 2 საათზე, ძალაში შევიდა ქალაქის სასურსათო კომიტეტის მიერ დაწესებული შემდეგი ნიხრი: 1) გირვანქა მწვანე ლობიო 20 კაპ., 2) პამიდორი 20 კაპ., 3) ახალი კომბოსტო 20 კაპ., 4) სტაფილო 20 კ., 5) კართოფილი 12 კაპ., 6) ხახვი 15 კაპ., 7) ახალი კიტრი 1 ცალი 5 კაპ., 100 ცალი 4 მან., დამარილებული 1 ცალი 7 კაპ., 8) ბადრიჯანი 1 ცალი 5 კაპ., 9) საზამთრო გირვანქა 10 კ., 10) ნესვი გირ. 25 კაპ., 11) ატამი გირ. პირველი ხარისხისა 40 კაპ., მე-2 ხარისხისა 30 კაპ., მე-3 ხარისხისა 20 კაპ., 12) ქლიავი გირ. 10, 25, 40 კ., 13) ღვინო 10, 15, 25 კაპ. გირვანქა, 14) მსხალი გირვანქა 15, 30, 40 კ., 15) ვაშლი გირ. 10, 25, 45 კაპ., 16) თხილი გირვანქა 25 კაპ., 17) ერბო 2 მ. 50 კ., 18) კარაქი 2 მან. 30 კ., 19) შვეიცარიული ყველი გირ. 1 მან. 60 კაპ., გოლანდიური 1 მან. 40 კაპ., თუშური 1 მან. 10 კაპ., მოთალი 1 მან. 20 კაპ.

## კავკასია

**ერობათა კავშირი.** მკათათვის 24-ს თბილისში მოხდა კრება ერობათა კავშირის ამიერ კავკასიის განყოფილების კომიტეტისა. ასარჩევი იყო კომიტეტის თავმჯდომარე. კანდიდატებად დაასახელეს თავ. მ. ალ. სუმბათაშვილი და ფ. ა. ბერეზოვსკი (ვაჩნის საერობო რაზმის თანამშრომელი). სუმბათაშვილმა უარი განაცხადა კენჭის ყრაზე და ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა კომიტეტის თავმჯდომარედ ბ-ნი ბერეზოვსკი, ხოლო იმის ამხანაგად ევ. დარჩია.

**კავკასიის სამხედრო ოლქის** მთავარმა უფროსმა გენ მღივანმა გამოსცა განცხადება, რომლის ძალითაც ჯარში არ უნდა გაიწვიონ მილიციაში მოსამსახურენი (კომისრები, მათი თანაშემწენი და მილიციონერები), თუ რომ ისინი სამხედრო სამსახურიდან გამოპარულნი არ არიან.

**ა. ს. ფირალოვი,** ამიერ კავკასიის კომისარიატთან არსებულ სადგილ-მამულო კომისიის თავმჯდომარე, კომისარიატის დავალებით პეტროგრადს მიემგზავრება მონაწილეობის მისაღებად რუსეთის ამგვარსავე კომისიების წარმომადგენელთა ყრილობაში.

**ბაქოს მეღვინეთა დეპუტაცია.** ბაქოს აღმასრულებელ კომიტეტს განკარგულება გამოუცია, რომ ყველა ღვინის სარდაფების კარები მთლად უნდა დაიკეტოს. განკარგულება ძალაში შედის დღეს, მკათათვის 26-ს. ამ განკარგულების გამო თბილისში ჩამოვიდა ბაქოს მეღვინეთა დეპუტაცია რომელმაც შუამდგომლობა აღძრა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე, რომ გააუქმოს ანუ შესცვალოს აღნიშნული განკარგულება, რადგანაც თუ იგი განხორციელებულ იქნა, გაფუჭდება 120.000 ვედრო ღვინო, ორ მილიონ მანეთად ღირებული.

**შინაგან საქმეთა მინისტრის აკ. წერეთლის** შეკითხვის გამო ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა პასუხი გაუგზავნა დროებით მთავრობას. კომიტეტი თავის პასუხში აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიაში აგრარულ ნიადაგზე იშვიათია შეტაკება, გლეხთა და მემამულეთა შორის უთანხმოებანი მომრიგებელ კომისიებში ირჩევა და ჩქარა მოეწყობა საგუბერნიო და სამაზრო სადგილ-მამულო კომიტეტები, რომელთა ხელში გადავა საბოლოვოდ მოწესრიგება აგრარულ საკითხებისა და ამ ნიადაგზე ატეხილ უთანხმოებათა.

**წარმომადგენლების არჩევა.** ამიერ კავკასიის გლეხთა კავშირმა ერობათა კავშირის ამიერ კავკასიის განყოფილების კომიტეტში თავის წარმომადგენლებად აირჩია ი. ტ. ფირცხალაიშვილი, ს. ფირცხალაიშვილი და ირემაძე.

**წესდება თბილისის სააპტიმროებში მოსამსახურეთა.** აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისის სააპტიმროებში მოსამსახურეთა კავშირისამ გამოგვიგზავნა თავისი ეხლახან დაბეჭდილი წესდება.

უპირველესი მიზანი კავშირისა ის არის, რომ შეაერთოს კავკასიის სააპტიმროების ყველა კავშირები ერთ ცენტრალურ კავკასიის კავშირად, რომელიც შემდეგ უნდა გახდეს მონაწილე სრულიად რუსეთის სააპტიმროებში მოსამსახურეთა კავშირისა.

წესდება აგრეთვე მიზნად ისახავს პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესებასაც.

**დამფუძნებელი კრება.** პეტროგრადიდან მიღებულ ცნობის მიხედვით საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ ამიერ-კავკასია ერთ საარჩევნო ოლქად იქნება დატოვებული დამფუძნებელ კრებაზე რწმუნებულების ასარჩევად.

ამიერ კავკასიის კომისარიატი კი საქმის სასარგებლოთ ცდილობდა რამდენიმე ოლქად ყოფილიყო დაყოფილი, მაგრამ, ჩანს, პეტროგრადში სხვა ვინმეებს უფრო გავლენა აქვთ, ვიდრე ამიერ კავკასიის საქმეებისათვის, ამიერ კავკასიის კომისარიატს.

## საქართველო

**საარჩევნო ინსტრუქცია.** გლეხთა კავშირის საადგილ-მამულო კომისიამ შეიმუშავა ინსტრუქცია, რომლითაც მცხოვრებლები იხელმძღვანებენ სადგილ-მამულო კომიტეტების წევრთა არჩევნების დროს. ეს ინსტრუქცია უკვე იბეჭდება ქართულად. ინსტრუქციის ერთი მუხლი გვიჩვენებს, რომ საადგილ-მამულო დავა აღნიშნულმა კომიტეტმა ადგილობრივ უნდა გადასწყვიტოს.

## პროვინცია.

**დამრჩვალი სოფ. ავჭალაში.** მკათათვის 21-ს უპოვნიათ ძალით დამრჩვალი სალდათი. საწყალს ყელზე თოკი ჰქონია შემოჭერილი. გამოძიება დაინიშნა.

**სოფ. საგარეჯო.** კვირას, მკათათვის 30-ს, აქაურ თეატრში, ვასო აბაშიძის მონაწილეობით, წარმოდგენას გამართავენ თბილისის მსახიობნი.

—

**შეცდომის გასწორება.**

კვირის ნომერში რომ წერილი იყო მოთავსებული, „გერმანეთი, ოსმალეთი და საქართველოს საკითხი“—ში შეცდომით დაბეჭდილია: „სასომხეთში ბალკანეთიდან გადმოხვეწილი სომხების ჩასახლება დაიწყეს“, უნდა იყოს— „გადმოხვეწილი მუჰაჯირები“.

# საქალაქო არჩევნების გარშემო

დღეს, მკათათვის 26-ს, თავდება ქალაქის საარჩევნო პაკეტების დარიგება. ვისაც ეს პაკეტი არ მიუღია (ე. ი. საარჩევნო კომიტეტის ბეჭედ დაკრული კონვერტი და კრებაზე შესასვლელი ბილეთი), ამა თვის 27—29-ს უნდა მიაკითხონ ქვემო ჩამოთვლილ ერთ-ერთ ადგილას და იქ დაუყონებლივ მიიღებს. აი მისამართი, სადაც შეიძლება საარჩევნო პაკეტის მიღება: 1) ქალაქის სასწავლებელი (ოლღას ქუჩ.), 2) არტისტიული საზოგადოება, 3) ქალთა მე 3 გიმნაზია (ბებუთოვის ქ.), 4) ქალაქის სახელოსნო სასწავლებელი, 6) ქალაქის სამკურნალო (ვორონცოვის ხიდთან), 6) ნადეჟდის სახელობის თავშესაფარი (ნავთლუღი, რეიტ. ქუჩა), 7) ავლაბრის კლუბის საზამთრო ბინა, 8) ქალაქის პირველი საკომერციო სასწავლებელი, 9) ქალაქის სკოლა (ჩერქეზიშვილის ქუჩა), 10) სახალხო სახლი, 11) სასურსათო კომიტეტი („პოლიცეისკაიას“ ქუჩაზე) და 12 რკინის გზის სატექნიკო სასწავლებელი (შერემეტევის ქუჩა)

# რუსეთი და ევროპა *)

III

**მიწის სოციალიზაციის გასამტკიცებლათ სხვა მიზეზებიც არსებობდა რუსეთში.**

რუსეთში მრეწველობა ნაკლებად არის განვითარებული და უმთავრესად სასოფლო მეურნეობას აწარმოებენ. დიდი უმრავლესობა რუსეთში მცხოვრებთა მიწის მუშაა; უმთავრესი სიმდიდრე რუსეთისა მიწის მოსავალია,— რუსეთი უცხოეთთან თავის ბალანსს გაზიდულ პურით აწონასწორებდა ომამდე.

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი ის არის, რომ რუსეთში რევოლუციონური იდეები ნაკლებათ ვრცელდებოდა და ამიტომ რევოლუციონერებმა გლეხებს, მათი გულის მოსაგებათ, მიწის დარიგებას დაპირდნენ; მათი ლოზუნგი იყო: „მიწა და თავისუფლება“. ჯერ მიწას შესძახებდნენ გლეხებს მაგრად და შემდეგ კი თავისუფლებას უფრო ლმობიერის ხმით.

მესამე მიზეზიც ის იყო, რომ შიგნით რუსეთში, ე. ი. ველიკოროსიაში დღემდე მიწათ მფლობელობა სოფლებში, გლეხობაში თემს ეკუთვნის და არა კერძო მესაკუთრეს. ეს ინსტიტუტი მეცნიერებაში ცნობილია, როგორც ძალიან ჩამორჩენილი, დარჩენილი გაუნათლებლობის გამო უძველესის დროიდან, მაგრამ რუსებს მაინც საუცხოვო მალამოთ მიაჩნდათ სოციალური სენის გასაკურნავად. 1885 წ. რუსეთის პოლიტიკა დაეჯახა ინგლისისას ავღანისტანის საზღვარზე (—ვუშოვოს ინციდენტი). მაშინ იუჟაკოვი სწერდა „Русское Богатство“-ში: русскій мужикъ лапотникъ сцѣпится съ англичаниномъ и одолѣетъ его, не смотря на его культурное превосходство, ибо русскій мужикъ—общинникъ. იუჟაკოვის აზრით, რაკი რუსის მუჟიკი მესაკუთრე არ არის, არამედ თემშია მომწყვდეული, იმას ვერავინ დასძლევს. ამავე აზრმა დაიტაცა თითქმის უმრავლესობა რუსეთის ინტელიგენციისა, როცა რუსეთში გაჩაღდა მარქსის სოციალიზმის ქადაგება.

მარქსის სოციალიზმს დაუპირდაპირეს რუსეთის თემი (община). და აქედან გამოტყვრა სოციალ-რევოლუციონერების პარტია, რომელიც ქადაგებს, რომ მიწაზე კერძო საკუთრება უნდა მოისპოსო; მიწა ყველას უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოთ და დურიგდეს მუშა ხალხს უფასოთო.

გლეხების უმრავლესობა გაიტაცა ამ ქადაგებამ და ისეთი პარტია, როგორიც არის კ.-დ. მონარქიულ-კონსტიტუციონური და უფრორე ბურჟუაზიული, იძულებული შეიქმნა თავის პროგრამაში შეეტანა მიწის საკითხის გადაწყვეტა. მათ საშუალო ზომას მიმართეს,—დაადგინეს: მიწა ჩამოერთვას მემამულეთ საფასით და დაურიგდეს მშრომელ ხალხს.

ამიტომ აშკარაა, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება გვერდს ვერ აუხვევს მიწის საკითხს, და საჭიროა გავითვალისწინოთ, რამდენადაც ეს შესაძლოა, რა მიმართულებას მიიღებს ამის შესახებ კამათი.

აქ საჭიროა გავიხსენოთ, რომ მიწის საკითხი ევროპასაც აინტერესებდა და აღელვებდა ევროპასაც და ამერიკასაც, ბევრიც დაწერილა ამაზე პუბლიცისტურიც და მეცნიერულიც, მაგრამ აგრე ერთის დაკვრით ამის გადაჭრა ვერავის გაუბედნია. იქ იაზრი მეფობს, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტი არის მუხლი. დიდიბოძი, რომელზედაც დამყარებულია მთელი ეხლანდელი სოციალური წესწყობილება, ასის წლობით, უხსოვარის დროიდან, და შერყევა ამ ბოძისა შეიძლება მაშინ, როცა გამოძებნილი იქნება სხვა [illegible] კი აზიასთანა ..... შეიძლება მხოლოდ სოციალიზმმა გაიღოს ამის მაგიერობა, მაგრამ თვით სოციალისტებიც ბოძის გამოცვლას ფიქრობენ მერმისში, შეიძლება ასი წლის შემდეგ.

რათ მოხდა, რომ ამ დებულებამ აგრე ადვილათ დაიმკვიდრეს რუსეთში და ლამის არის მისთხარონ? უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს კულტურის განსხვავების მიზეზია. ევროპის კულტურა დამყარებულია მეცნიერებაზე, რომელიც ევროპის ღვიძლი შვილია. ხოლო რუსეთი თუმცა ეცნობოდა ევროპის მეცნიერებას, მაგრამ როგორც აუცილებელ უსიამოვნო მოვალეობას.

რა უნდა მოხდეს დამფუძნებელ კრებაზე, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი? ეს დამოკიდებული იქნება პარტიების რაოდენობაზე და მათი ძალთაგანწყობილებაზე.

(დასასრული იქნება)

ბ. გ.

*) იხ. საქართველო № 155.

# მიწის კერძო საკუთრება

ამას წინად მომხდარ აგრარულ რეფორმების ლიგის ყრილობაზე ბ. დ. ბუცკუმ მოხსენება წაიკითხა.

მის მოხსენებიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სოციალურ გარდაქმნის ხელმძღვანელობენ, რუსეთში ისეთ წყობილების დამყარება ჰსურთ, როგორც ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ არის ცნობილი, რადგან აქამდის მიწის ნაციონალიზაციის შესახებ კულტურულ ევროპის ქვეყნებში არსად არავითარი ცდა არა ყოფილა. თვით იდეია მიწის სოციალიზაციისა ხომ მთლად უცნობია დასავლეთ ევროპისათვის. აგრარულ საკითხს ეკონომიურად ჩამორჩენილ სახელმწიფოებში მოითხოვს დიდს ყურადღებას. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ჩვენ აგრარულ საკითხს კი არ უნდა მივაქციოთ უმთავრესი ჩვენი ყურადღება, არამედ ჩვენს ეკონომიურ სისტემის გაუმჯობესებას. მიწის საკითხის სპეციალურად მცოდნეთ, განსაკუთრებით ამიტომ უძნელდებათ ამ საკითხის გადასაჭრელად ყველასათვის მისაღები ერთი გზის პოვნა? სხვა სახელმწიფონი თავიანთ სააგრარო პოლიტიკას გლეხთა კერძო მესაკუთრეობაზე ამყარებენ. ხშირად მათგან შეტანილი კორექტივები ცხოვრებაში მაინც ფეხს ვერ იკიდებენ. ზოგჯერ სახელმწიფოს დახმარებით, ახლად წარმოშობილ მეურნეობისათვის განსაკუთრებულ ღონისძიებას ხმარობენ, მაგალითად უკრძალავენ მიწის დაყოფას დამუშავების დროს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ღონისძიება ცხოვრებაში მნიშვნელობას ჰკარგავსო.

# სომეხ სამღვდელოთა კრება

სომეხ სამღვდელოების ეჩმიაძინის ყრილობაზე, რომელსაც დაესწრო 30 ეპისკოპოზი და არქიმანდრიტი და 40-დე მღვდელი, გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუციები:

1) ეკლესიების და მონასტრების შემოსავალი კვლავ ეჩმიაძინის სპეციალურ ცენტრალ კასაში იგზავნებოდეს.

2) თეთრი სამღვდელოების წევრები შეიძლება იქმნან არჩეულნი მრევლის მიერ ყოველივე საეკლესიო თანამდებობაზე.

3) შავი სამღვდელოების წევრები უნდა ცხოვრობდნენ მონასტრებში. მათ უნდა შეისწავლონ ლიტერატურა და მეცნიერება და ეკლესიის მორალურ აღორძინებისათვის უნდა იზრუნონ.

4) თანდათან გაუქმებულ იქმნან საეკლესიო წესები, რომელნიც უცხო ელემენტებმა შემოიტანეს სომხის მღვდელთ-მსახურებაში.

5) ეროვნული საეკლესიო სკოლები, სემინარიები და ეჩმიაძინის აკადემია უნდა ინახებოდნენ მრევლის ხარჯით. ეს სასწავლებლები არ უნდა იქმნან არეულნი გაეროვნებულ მთავრობის სკოლებთან.

# ბიბლიოგრაფია

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოსცა: 1) კაზმულ-სიტყვიერებითი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ქრისტომატიაში მოთავსებულია საუკეთესო ნაწარმოებნი მე-19-ე საუკუნის ჩვენი გამოჩენილი მგოსნებისა და მწერლებისა. თვითეულ მწერლის ნაწარმოებს წინ უძღვის ავტორის მოკ-

# სალამოს სანთლებში.

მე თვალს მილებავს ცრემლის ფერად კენესა მართალი,
ჰლექიან სანთლის ელვარება ოქროსფერი —
მომაგონდება სინანულის ცრემლად ქცეული
ოსკარ-უილდი გულზვიადი მთავარ-სარდალი
დაყრილი ფარი და ლონდონის ქვა-სამართალი
შეშლილ მეფესთან ბრბო სიცილით შემოსეული..

მზესთან სტირიან შუადღისას მისი თვალები
როგორც ბესიკის სამარესთან ალვის ხეები;
აიშლებიან ჩვენს გარშემო ფიდაცეები—
გამოწვეულნი ჯოჯოხეთის ტანჯვა-წვალებით
ვით სარეცელზე მშობიარე ნაზი ქალები
მწარე კვნესით გვაშორებენ ეგ სახეები...

თბილისი
VII—21.

გ. ლეონიძე

ლი ბიოგრაფია, ხოლო ბოლოში გასამეორებელი კითხვები, ზეპირი საგარჯიშოები, საწერი თემები და საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო შენიშვნები. წიგნი შეიცავს ექვსას [illegible] ფორმატისას, დაბეჭდილი იქნება და [illegible] ქაღალდზე და ღირს 3 მ. და 10 შაურად.

2) [illegible] მოთხრობები. წიგნი I. ავტორის სურათით. [illegible]

ამხანაგობა ახლა ჰბეჭდავს: 1) პროფესორის ი. ა. ჯავახიშვილის მეცნიერულ გამოკვლევას—„ქართული სამართლის ისტორია“, 2) [illegible]

[illegible]

ამხანაგობა ეცდება მიიღოს ყოველნაირი ღონისძიება, რომ ისინი დაამზადოს მომავალი სასწავლო წლისათვის. წიგნები დაიბეჭდება თეთრსა და მტკიცე ქაღალდზე და უმრავლესობა შემკული იქნება სურათებით.

## ფინეთი და გერმანეთი

„ოხრანკის“ განყოფილებაში სხვა და სხვა ფარულ საბუთებთან ერთად ერთი მეტად საყურადღებო წერილი აღმოუჩენიათ. იგი შეეხება 1915 წელს ფინეთში შემდგარ ფარულ საზოგადოებას, რომელსაც მიზნათ გერმანეთის დახმარებით ფინეთის რუსეთიდან ჩამოშორება ჰქონდა დასახული. წერილი დაახლოვებით შემდეგი შინაარსისა ყოფილა:

ფინეთის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ომის დაწყებიდანვე აღარ მალავდნენ თავიანთ აღტაცებას. მათ ახარებდათ ის დიდი ხნის სასურველი წუთი, როდესაც მათის აზრით, ფინეთის პატრიოტთა ოცნების განხორციელება შეიძლებოდა. ეს ოცნება კი ფინეთის რუსეთიდან გამოყოფა იყო. უკანასკნელ დრომდის ფინეთის ყველა ოპოზიციონურ წრეებში ის აზრი ბატონობდა, რომ ფინეთის ახალი ერა რუსეთში სახალხო მოძრაობასთან ერთად დაიწყებაო. აი გაისმა ზარბაზნის ხმა და აღფრთოვანდა ფინეთი. მაგრამ გამოჩნდენ ისეთი პირებიც, რომელთაც განაცხადეს, რომ სიფრთხილე გვმართებს, საჭიროა დაცდა, რომ მოუფიქრებელი ნაბიჯები არ გადავდგათ და რუსის მახვილის მსხვერპლნი არ შევიქნეთო.

მაგრამ ახალგაზდათა მჩქეფარე სისხლს აღარ შეეძლო მოცდა და აი ინტელიგენტ ახალგაზდობამ ყური მოიყრუა თეორეტიკების ქადაგებაზე. ამასთან გერმანელთა აგიტაციამაც ხმა აიმაღლა. იგი ხომ ფინეთს სრულს დამოუკიდებლობას ჰპირდებოდა. 1914 წ. ნოემბრის პირველ რიცხვებში გერმანელთა პროკლამაციებმაც იჩინეს თავი.

„განთავისუფლდით რუსეთის მძიმე უღლიდან გერმანეთის საშუალებით, რომელმაც მტკიცედ გადასწყვიტა თქვენს სამშობლოს პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაუბრუნოსო.

შორს თქვენგან ველური რუსები.“ —აი რას მოუწოდებდენ გერმანელები- და ფინეთის ახალგაზდობა სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეამ შეიპყრო. გერმანეთი იხსნიდა მათ მაგრამ რადგან ამ იდეიამ ყველა ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების ყურადღება არ მიიპყრო, სტუდენტებმა დამოუკიდებლად მოქმედება გადასწყვიტეს. და აი დასახულ მიზნის განსახორციელებლად შვედეთში სამხედრო ცოდნის მისაღებად ცალკე პირებს დაუწყეს გზავნა. იქ მათ თავიანთი განზრახვა გაუზიარეს და შვედეთის გერმანეთის მხარეზე გამოსასვლელად აგიტაციაც დაიწყეს. მათ მხარს უჭერდნენ ყველაზე უწინ გერმანელთა აგიტატორები. შემდეგ გერმანოფილთა პრესა და თვით შვედელთა ის წრეები, რომლებიც რუსეთს მტრულის თვალით უყურებდნენ. თუმცა შვედელებმა ფინელთა სამხედრო სწავლაზე უარი განაცხადეს. მაშინ სტუდენტთა წარმომადგენლებმა, საზღვარგარედ მყოფ პოლიტიკურ მოღვაწეთა შემწეობით ამ საქმეზე გერმანელთა მთავრობასთან შეთანხმდენ. ეს შეთანხმება 1915 წ. მაისიდან თანდათან ძლიერდებოდა.

მალე, რუსის ლაშქრის დამარცხების შემდეგ ფინეთის ახალგაზდათა სამხედრო საქმის შესასწავლად გერმანეთის სიგანგებო სასწავლებლებში გზავნა იწყეს. სამხედრო საქმის სასწავლებლად მიდიოდნენ სტუდენტები, კონტორის მოსამსახურენი და ნოქრები. მათ ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის მაგისტრი კაი დონნერის თაოსნობით ჰელსინგფორსში შემდგარი ბიურო. თვით ეს ბიურო კი სტოკჰოლმის მთავარ ბიუროს ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა.

ამ ბიუროში მონაწილეობდნენ თითქმის ყველა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი, სახელდობრ: კონნი ცილლიაკუსი, იოგანეს გუმმერუსი, იონას კასტრენ და იოგანს სნელმან. ბიუროში ის ადგილები (ის მრევლი) საიდანაც ახალგაზრდები იგზავნებოდენ ქარტაზე ინიშნებოდა. არაფერს ზოგავდნენ, ოღონდ კი ახალგაზრდები ყველა სოფლის მრევლიდან (საზოგადოებიდან) ჰყოლოდათ გაგზავნილი. ვინც გერმანეთში წასვლაზე სურვილს განაცხადებდა საგანგებოდ ეძლეოდა ფული შვედეთში გასასვლელად. აქ კი მათ აგენტები უხვდებოდნენ და გერმანეთში წასასვლელად ხელს უწყობდნენ.

1915 წ. შემოდგომისთვის ფინეთიდან გასვლა ისე თავისუფლად აღარ შეიძლებოდა, ამიტომ ასეთ ემიგრანტების ჩუმად გაყვანა იწყეს. ახალგაზრდა ფინელები ბოტნიკის ზღვის უბის პირად მდებარე სოფელ-ქალაქებიდან სამოტორო ნავებით და პატარა გემებით იწყებდნენ მოგზაურობას. ზამთარში ქ. ნიკოლაიშტატთან გაყინულ ზღვის უბეზე წრიაპებით (лижа) გადადიოდენ. აქ შვედეთისკენ უმოკლესი გზა არის. სადგურ კემიდან დაწყობილი ხოპარანდამდის და აგრეთვე ტორნეოს ჩრდილოეთით ყველგან გამოცდილი გზის მაჩვენებლები უხვდებოდენ. გზა და გზა მათთვის ფარული საკრებულოებიც იყო დაარსებული. მაგალითად, ვაზასის გუბერნიიდან შვედეთის ქალაქ უმეოსაკენ მიმავალ გზაზე კუნძულებზე რამდენიმე დასასვენებელი და სასადილო პუნქტები იყო გამართული: შვედეთის კუნძულ ხოლმენში მაღალ ანძებზე გზის საჩვენებლად ყოველ ღამ ფარნები ენთო. შემდეგ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გზის საჩვენებლადვე ანძებზე ალმები იყო გაკეთებული. სოფელ ხოლმენში ისინი ერთ დიდ სახლში იკრიბებოდნენ. აქ მათთვის ლოგინები და სადილი მუდამ მზად იყო. ამავე სოფლის საბაჟოს ზედამხედველნი მათ სწერდენ, როგორც ლეგალურად გადასულებს. შემდეგ ისინი ქ. უმეოში იგზავნებოდენ. აქ ქალაქის ფოსტის სადგურზე მათ ექიმი სინჯავდა და შემდეგ რკინის გზით ტრალლებორგს იგზავნებოდენ—აქედან კი—გერმანეთს ჰამბურგის მახლობლად, საგანგებოდ დაარსებულ ლოკშტედტის ბანაკში. ბანაკის უფროსად გერმანელი მაიორი ბაერი იყო. როტების უფროსებად—გერმანელი ოფიცრები.

მისულ ფინელებს გერმანელები ფიცს ართმევდენ. ფინელებს ბანაკში არსებულ ი ყველა წესები უნდა ესრულებინათ. ამასთან როდესაც გერმანელები ფინეთს გადასხამდნენ ჯარს, ფინელები მათთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყვნენ.

ფინელებს აქ გერმანელ ჯარის კაცების ფორმას აცმევდენ და როტებში ამწესებდენ.

ლოკშტედტის ბანაკში ახალგაზრდა ფინელებისთვის 2 კლასი იყო. ერთში მცირე ჯგუფებით სწავლობდნენ, მეორეში კი უფრო დიდი ჯგუფებით. ჯგუფებად იყოფებოდენ ინჟინრები, აგრონომები და ტეხნიკოსები. ტყვის მფრქვევლთა ჯგუფში მთლად ტეხნიკოსები იღებდენ მონაწილეობას. რვა კვირის სწავლის შემდეგ ფინელები ეგერის ფორმაში ეწყობოდნენ. მეორე კლასშიც იმისვე სწავლობდნენ, რასაც პირველში, მხოლოდ ერთად და არა ცალ-ცალკე ჯგუფებად.

ნიჭიერი და გერმანულ ენის მცოდნე მალე რაზმის უფროსად ხდებოდა (Zudjührer).

1916 წ. თიბათვისთვის ლოკშტედტის ბანაკში 2.000 ფინელი იყო. ისინი 6 როტად იყვნენ დაყოფილნი—4 ეგერისა, 1 საsapioro და 1-ც საარტილერიო. ესენი ფინეთში გერმანეთის ჯარის ხელმძღვანელნი უნდა ყოფილიყვნენ.

თვით ამბოხება 1916 წ. გაზაფხულისთვის ჰქონოდათ განზრახული.

მათ რკინის გზების, ხიდების, სამხედრო საწყობების, ტელეგრამის და ტელეფონის განადგურება-გაფუჭებით რიგის ფრონტიდან ჯარის ნაწილის გაყვანა ჰქონდათ სახეში. შემდეგ სეიმის არხის შლიუზების გაღება და ასე ამ რიგად პეტროგრადიდან ჩამოშორება. დასასრულ პარტიზანული ბრძოლა გარემოების და გვარ და ხელმწიფების (Власть) ხელში ჩაგდებამდე. ამასთან იმედებს ამყარებდენ აგრეთვე სხვა და სხვა პარტიულ საზოგადოებებზე. მათგან ფინეთის ლაშქრის შედგენის იმედი ჰქონდათ. მათ სათავეში კი, რა თქმა გერმანეთში ოფიცრებათ გამოზრდილნი ფინელი ახალგაზდები ჩაუდგებოდენ. რვა კვირის სწავლის შემდეგ გერმანეთიდან ფინელების ნაწილი ისევ უკან იგზავნებოდნენ. მათ ადგილობრივ აგიტაციის გაწევა ჰქონდათ დავალებული.

ფინელ ჯარის კაცების რიცხვი 1915 წ. ოქტომბერში—300 იყო და 1916 წ. თიბათვეში 2000 ავიდა.

ფინეთის ახალგაზდებს საქმე იმდენად კარგად ჰქონდათ მოწყობილი, რომ ძველ რეჟიმის მთავრობამ ძალიან ცოტა რამის გამოძიება შესძლო ამ საქმეში. თვით პეტროგრადის საოლქო სასამართლოს გამომძიებელმა ნ. ა. მაშკევიჩმა, რომელიც ამ საქმისათვის იყო ფინეთში გაგზავნილი, შესძლო მხოლოდ 32 ფინელის მიცემა პასუხის გებაში. („Рѣчь“).

## საეკლესიო საკითხები

ჩვენი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიით უნდა ვისარგებლოთ ისე, როგორც შეეფერება ეხლანდელ დროს. ჩემის შეხედულობით უნდა გადაკეთდეს შინაგანი წესი ეკლესიისა ასე:

მეტი ხატები უნდა აილოს რადგანაც ხალხი დაჩვეულია მთხვევას, რომ აღარ ემთხვიონ. ამას ვამბობ იმის გამო, რომ ერთს და იმავე ხატს ემთხვევიან კარგათ მყოფნიც და ავათმყოფნიც, და ამით ჩვენ ვავრცელებთ ათასნაირ ავათმყოფობას.

ეკლესიებში დაიდგას სკამები, ისე როგორც არის ფრანგების და ლუტერანთ ეკლესიებში.

რადგანაც ჩვენი წირვა-ლოცვა მეტად გრძელია, შემოკლდეს, რომ მრევლმა უფრო გულმოდგინეთ იაროს ეკლესიაში, მე მგონია მრევლი მეტად უფრთხის ეკლესიას არა იმიტომ, რომ არა სწამს ღმერთი, არა იმიტომ, რომ მეტად გრძელი წირვა-ლოცვა ხალხსა ჰკლავს და ამის გამო აღარ დადის.

მღვდლებმა იარონ ერის ტანისამოსში, ამით არაფერი გაფუჭდება. სამღვდელოების პირით თუ მოინებებენ უნდა ჰყავდეთ ცოლები, და თუ ვინიცობაა დაქვრივდა ვინმე. მიეცეს ნება მეორის შერთვისა.

ამით გავამრავლებთ ხალხსაც და ახალგაზდა დაქვრივებულს არ ჩავაგდებთ უბედურებაში, როგორც არიან ეხლა.

ბერების რიცხვი მონასტერში შემცირდეს, რადგანაც მიდიან იქ უსაქმოები.

ბერების რიცხვი შემცირდეს, რადგანაც მიდიან იქ უსაქმოები.

ჩვენი პირველი ცდა უნდა იყოს ქართველების გამრავლება.

ესეთი ცვლილება უნდა დაკანონდეს ეხლავე, თორემ მერმე გვიან იქნება.

ეს დაკანონება უნდა მოხდეს სამღვდელოებისაგან და მრავალ რიცხოვან საერო კრებისაგან.

სასწავლებლებში უნდა ასწავლონ სამღრთო სჯული ძალიან შეღავათიან პირობებით, თორემ ბავშვები არ ისწავლიან ისე, როგორც იყო აქამდე.

აი, ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დასწეროთ თქვენ გაზეთში ეს სრულათ თუ არა, მაინც ცოტაოდენ, რომ ხალხი გაეცნოს ადრევე და შეეჩვიოს. ამას მარტო მე კი არა გთხოვთ, ჩემთან ბევრი არიან.

L.

## საქალაქო არჩევნების შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნო რედაქტორო! მოგეხსენებათ ქართული გვარების დაბოლოება შვიდი რუსის მთავრობამ პირველშივე ოვ-ად გადააკეთა. ამ გადაკეთებას ზოგი გვარი თვითონ უწყობდა ხელს —ეგონა ამით ღირსება ემატებოდა, ზოგს კიდევ ძალად უცვლიდნენ ამათ. ეს იყო მთავრობის განზრახული ქართველების გარუსების პირველი ნაბიჯი. ესეთი მთავრობის თვითნებობა ქართველების ცხოვრებაში ბევრ უხერხულობას ჰბადებდა, მაგრამ მისს გამორკვევას საკმაო დრო ეძლეოდა ხოლმე. მოახლოვებულ ქალაქის არჩევნებში შეიძლება ამ უხერხულობამ კვლავ წამოჰყოს თავი და დრო კი არ გვექნება მის გამოსარკვევად. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ, რაკი ჩემი გარუსებული გვარი ქართველმა აღმწერმა ქალმა იუცხოვა და ქართული დაბოლოებით ჩასწერა სიაში, ისე მგონია სხვა ქართველების გვარებიც ბევრი იქნება სიებში ქართული დაბოლოებით ჩაწერილი და არჩევნების დღეს პიროვნების საბუთებთან შედარების დროს განსხვავება ვშიშობ ბიუროკრატიულ ხრიკად არ შეიქმნას ამისთანა ქართველი ამომრჩევლისთვის.

ამას ვაცხადებ იმათ საყურადღებოდ, ვინც არჩევნების საქმეს ახლო უდგანან.

ნიკ. ავალიშვილი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
### მატარებლების მოძრაობა
(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |

ტფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62; | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

პარასკევს, 28 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ქართველთ სამხედრო კავშირის კლუბში (ყოფილი ქართული თეატრი) მოხდება

ქართველთ სამხედრო კავშირის თბილისის წევრთა და თანამოაზრეთა

# საერთო კრება

დღის წესრიგი:

1) კომიტეტის მოხსენება,
2) მიმდინარე მომენტი,
3) საორგანიზაციო საკითხი,
4) მოხსენება ქართველ მხედართა დელეგატების საერთო ყრილობის შესახებ.

3—713—1

# ლატარია

კვირას, 30 მკათათვეს, ვაკეში გაიმართება საინტერესო ლატარია, ლატარიაში ჩაგდებულია ცხენი რვაას მანეთად; ლატარიის თამაში დაიწყება 2 საათზე და გაგრძელდება საღამოს 7 საათამდე. მსურველთ ვთხოვთ მობრძანდნენ დანიშნულ დღეს დანიშნულ ადგილზე.

1—726—1

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკელია.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, [illegible] ქუჩა № 12, ქართულ სათავადაზნაურო ბანკის პირდაპირ. [illegible] ყოველ დღე დილის 10 საათიდან [illegible] 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის, [illegible]

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბნებში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის წევრ [illegible].

751

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—10

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-2, 3 და 4 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ **ოთხშაბათს, 26 ივლისს,** სამეურნეო ბანკის დარბაზში საღამოს 8 საათზე დანიშნულია

# საერთო კრება

წევრთა და თანამგრძნობთა.

საკითხი—ქალაქის არჩევნები. 2—711—1

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ **ოთხშაბათს, მკათათვის 26 ს, საღამოს 8 საათზე,** მესამე მომრიგებელ მოსამართლის შენობაში (ტურგენევის ქუჩა № 4)

# დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა

# საერთო კრება

განსახილველი საკითხები:

1) თბილისის საქალაქო არჩევნები,
2) საპროგრამო საკითხები და სხვა.

ექიმი

## გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღის ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმ-ბებია

## მ. გ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ხალოხ[illegible] ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქბილისა

## ე. ივ. ბაღარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

## მ. ი. მაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მადლინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

[illegible]

მოსკ[illegible] ანთიმოზის მე

## ქალანდარიშვილი

[illegible]

ბავშვთა, შინაგან და [illegible] სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს

მანგლისში

საკრედიტო კორპუსის ბანაკში

ექიმი

## ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116. (თ—703—4)

ექიმი

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი

## ე. ლ. შალამბერიძე

იღებს სახეირო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

## თელავში უნდათ პატარა მორბედი ქალი

12—15 წლისა.

ბავშვისთვის ქართულ ოჯახში.

მ სამართი: ელიზავეტოპოლის ქუჩა № 48. 3-715-3

# კ ო მ ი ტ ე ტ ი
## ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერონ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სახაზნოს ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

10—740—10 კომიტეტი ქ. ს. კ.

## თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მიიღება საკუთარ და ხაღაშ[illegible] სათ. „[illegible]“, ხამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, შავი მაროლიანი, შავი „[illegible]“ ხიზილალა. მიიღებთ საუკეთესო [illegible] მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი [illegible], თართი, [illegible] და [illegible], გვაქვს აგრეთვე [illegible] [illegible] და [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების [illegible]. (წ.)